



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლხური ტაფელა

კოლხური ტაფელა (*Rodeus colchicus*, Bogutskaya et. Komlev, 2001), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae, Fleming, 1822), ტაფელების გვარს (*Rodeus* Agassiz, 1832). მაქსიმალური სიგრძე – 25 სმ, მასა 15 გ, მაქსიმალური ასაკი – 5 წელი. მტკნარი წყლის ბენტოპელაგიური სახეობაა. მრავლდება სხვადასხვა დროს, თებერვლიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება 200–450 ქვირითია; ტოფობს რამდენჯერმე. იგი განსხვავდება აქამდე შესწავლილი ჩვეულებრივი ტაფელასაგან უფრო მსხვილი ქერცლით, ხერხემლის მალეების რაოდენობით, გვერდითი ხაზით, უფრო მაღალი მეორე და უფრო ფართო მეოთხე და მეხუთე ინფრაორბიტალებით. იკვებება წყალმცენარეებით, ნაწილობრივ – ბენტოსითა და პლანქტონით. გავრცელებულია დას. ტრანსკავკასიაში, საქართველოში. ამიერკავკასიის ენდემია. სარენაო მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ტ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013, Б о г у ц к а я Н., Н а с е კ ა А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004.

ბ. ნინუა
